ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული საქართველო

„ბედნიერი, ტურფა ქვეყანავ,
ოდესმე, ქართველთ შვილნენ,
და შენ, ქართველნო, სწავლითა
ხარბობდ, გაანათენ!“

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

572
1951

№ 9 სექტემბერი 1951

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ჯაიცი

ნახატები ი. კალაძისა

მთავარ მოედანზე

ერთი პატარა გერმანული ქალაქის შესახებ უნდა გიამბოთ. იგი ომის დასასრულს ამერიკელებმა დაიკავეს. მაგრამ შემდეგ იმ ქალაქში ჩვენები შევიდნენ. მცხოვრებლები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა არმიის მებრძოლებს.

კოლონამ მთავარ მოედნისაკენ გაუხვია და უცებ გაისმა მეთაურის ბრძანება:

— სდექ!

მებრძოლები და ოფიცრები შედგნენ და გაოცებით შეჰყურებდნენ ბრინჯაოს ძეგლს.

ჩვენს მებრძოლებს ცოტა ძეგლები როდი უნახავთ გერმანულ ქალაქებში. მაგრამ ეს იყო განსაკუთრებული, იგი ლენინის ძეგლი იყო.

— დახარეთ დროშები!—ბრძანა მეთაურმა და გამარჯვების დროშები, რომლებიც მებრძოლებმა სტალინგრადიდან ბერლინამდე მიიტანეს, ბრინჯაოს ქანდაკების წინ მსუბუქი შრიალით დაიხარა.

მეთაურმა გამოჰკითხა მცხოვრებლებს, თუ საიდან გაჩნდა ეს ძეგლი გერმანულ ქალაქში, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ ფაშისტები ბატონობდნენ.

და აი, რა უამბეს მას.

* * *

ქალაქში არის დიდი ქარხანა; ომის დროს იქ ამუშავებდნენ მთელი ევროპიდან იძულებით მოყვანილ ხალხს: ინგლისელებს, ჩეხებს, ფრანგებს, პოლონელებს. მათ შორის რუსიც იყო, მას ვასილს ეძახდნენ. მისი გვარი არავინ იცოდა, მაგრამ მას იცნობდნენ როგორც მამაც ახალგაზრდას, — იგი თავგანწირულად ებრძოდა ფაშისტებს, იცავდა მშობლიურ სოფელს. მაგრამ ყუმბარის აფეთქებისაგან ცნობიერება დაჰკარგოდა, გონს მხოლოდ ბატარეებელში მოვიდა; ფაშისტებს იგი სხვა ტყვეებთან ერთად გერმანიაში მიჰყავდათ.

„გავიქცევი!—ფიქრობდა ის,—არ ვიცხოვრებ ფაშისტურ ტყვეობაში“.

მაგრამ გაქცევა შეუძლებელი იყო. ტყვეებს სასტიკად ადევნებდნენ თვალყურს.

ვასილს ვაგონების დაცლაზე ამუშა-

ვებდნენ. ქარხანაში ყოველდღე მიდიოდა ტანკების, ზარბაზნების, თვითმფრინავების ნამსხვრევებით სავსე დიდი სატვირთო მატარებლები.

ფაშისტებს ძლიერ უჭირდათ ლითონი. ამიტომ ეზიდებოდნენ ყველაფერს, რის გადადნობაც შეიძლებოდა. ვასილს არ უნდოდა დახმარებოდა მათ, და მხოლოდ თვალის ასახვევად მუშაობდა.

ერთხელ იგი დიდ სატვირთო ვაგონს ცლიდა. აუჩქარებლად იღებდა ხან სვასტიკიან სპილენძის ფილას, ხან „მესერშმიდტის“ ფრთას, ხან დამტვრეულ მოტორს... ვასილს უხაროდა, რომ მატარებლებს აღმოსავლეთიდან იმდენი ნამსხვრევები მოჰქონდათ. მაშასადამე, ჩვენები ფაშისტებს მაგრად ურტყამენ!

უცებ მოეჩვენა, თითქოს ლენინის სახე დაინახა. თავის თავს არ დაუჯერა, მაგრამ როდესაც კარგად დააკვირდა, ნახა, ვაგონში ლითონის გროვას შორის დევს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ლენინის დიდი ქანდაკება.

იგი განსაკუთრებულმა გრძნობამ შეიპყრო. თვალწინ დაუდგა თავისი ადრინდელი თავისუფალი ცხოვრება. გულზე რაღაც მოაწვა, თვალებზე ცრემლი მოადგა. თავი ვეღარ შეიკავა, დაიხარა და ბრინჯაოს ცივ შუბლს ეამბორა.

* * *

ვასილმა ჩუმად დაუძახა შორიახლოს მდგომ ფრანგს, რომელსაც ანრი ერქვა. ანრი დააცქერდა ქანდაკებას, უცებ ვასილისაკენ შემობრუნდა და ალერსიანად წარმოსთქვა:

— ლენინი!

მან ხელი დაუქნია ინგლისელ ჯონს, რომელიც ჯალამბართან მუშაობდა, ჯონმა შეხედა ქანდაკებას და ისევე ალერსით ინგლისურად წარმოსთქვა:

— ლენინი!

...ყველამ იცნო ლენინი: ჩეხმა, პოლონელმა, ზანგმა; ყველა, ვინც კი ვაგონთან მიდიოდა, უმალვე სცნობდა ლენინს და ჩურჩულით, სიყვარულით იმეორებდნენ:

— ლენინი, ლენინი!

მაგრამ ლენინის ყურება დიდხანს არ დასცალდათ, ვაგონის გასწვრივ უკვე გამორბოდა გუშაგი ავტომატით ხელში და გაჰყვიროდა:

— შნელლერ! (სწრაფად!)

ვასილმა და მისმა ამხანაგებმა დაიწყეს ვაგონიდან ყოველგვარი ნამტვრევების გადმოყრა. მალე მთელი ქანდაკება გამოჩნდა, და ვასილი მიხვდა, რომ ეს იყო ლენინის ძეგლი, რომელიც საბჭოთა ქა-

ლაქში იდგა. ფაშისტებმა, როგორც ქურდებმა, მოიპარეს იგი და გერმანიაში მოიტანეს გადასადნობად.

„არა, ეს არ მოხდება!“—გადაწყვიტა ვასილმა და თავისი აზრი ამხანაგებს ნიშნებით გაუზიარა.

ყველანი: ინგლისელი, ჩეხი, ფრანგი, პოლონელი, — უმალვე მიუხვდნენ ვასილს და ერთხმად იმეორებდნენ:

— არ შეიძლება, ლენინი! ლენინი!

4924

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

როგორც კი გუშაგი მატარებლის ბოლოსაკენ გაიქცა, ანრიმ და ჯონმა ჯალამბარით ასწიეს ქანდაკება და ფრთხილად დასდეს საზიდზე.

ვასილი ვაგონის საფეხურიდან ჩამოხტა და საზიდის სახელურს ხელი იმანაც ჩაავლო.

ქანდაკება განზე გადაიტანეს და დაიწყეს თათბირი, როგორ მოქცეულიყვნენ, მაგრამ გუშაგი ისევ მოვარდა:

— რატომ შეჩერდით? სწრაფად!

სხვა გზა არ იყო. საზიდი ისევ ვიწრო ლიანდაგზე გააგორეს.

და აი, გაიღო ფართე კარები. მის იქით თუხთუხებდნენ დიდი სადნობი ღუმელები. ერთ-ერთ ღუმელთან იდგა ხანშიშესული გერმანელი, ლურჯი სათვალითა და გაცვეთილი კეპით. ეს იყო ძველი მექურე. მან მოიხედა და დაიყვირა.

— რას აყოვნებთ? მოიტათ, თორემ ღუმელი ცდება!

ვასილმა უფრო მაგრად ჩაავლო ხელი საზიდის სახელურს; აბა, სცადოს მექურემ ქანდაკების აღება! შავი დღე დადგება. აქ შეიძლება გუშაგისა არ მოგერიდოს. ისინი ამ საამქროში არ შემოდიან, რადგან აქ გერმანელები მუშაობენ.

— ხომ არ დაყრუვდით? — დაიყვირა ისევ მექურემ, ლურჯი სათვალეები მოიხსნა და საზიდთან მივიდა.

ტყვეები მჭიდრო რკალად შემოერტყნენ მას. მოხუცი მუშა საზიდს დააცქერდა:—მოიცათ, მოიცათ! ეს ვინ არის? ლენინი! – აღმოხდა მოხუცს. მან ხელი ასწია და ძველი, მრავალდგილას ამომწვარი კეპი მოიხადა. შემდეგ უცებ აჩქარდა:

— რაღას უდგეხართ? წაიღეთ უკანა ეზოში, სწრაფად, ვიდრე ღამეა... ვიდრე ბნელა! სწრაფად!

— გმადლობთ, მეგობარო! — რუსულად უთხრა ვასილმა და სხვებთან ერთად საზიდი უკანა ეზოს გასასვლელისაკენ გააგორა.

იქ, მივარდნილ კუთხეში, მუშებმა შესაფერი ადგილი მოძებნეს; მიწა დატკეპნეს, ჩააღრმავეს, შიგ ქანდაკება ჩადეს და ზემოდან მოხერხებულად დაფარეს.

ქანდაკება მთელი ორი წლის განმავლობაში,—ომის დამთავრებამდე, ინახებოდა ქარხნის ეზოს სამალავში.

* * *

და აი, დამთავრდა ომი. ქალაქში ამერიკელები გაბატონდნენ. მოხუცი მექურე ორ მუშასთან ერთად მივიდა ამერიკელ კომენდანტთან და უთხრა:

— ჩვენ გვინდა ქალაქში ძეგლი დავდგათ.

— ვისი?

— ლენინის!

— რაო? — გაჯავრდა ამერიკელი. — ბოლშევიზმს ავრცელებთ?! ნებას არ მოგცემთ!

და მაშინ ყველანი მიხვდნენ, რომ გერმანული ფაშიზმის ადგილი ამერიკულმა დაიკავა. მუშებს კვლავ მოუხდათ ქანდაკების დამალვა. ახლა უკვე—ამერიკელებისაგან.

მაგრამ ორი თვის შემდეგ, როცა ვასილი უკვე სამშობლოში დაბრუნდა, იმ ქალაქის მცხოვრებლებმა გაიგეს, რომ მათი ქალაქი საბჭოთა ზონაში მოხვდა და ყველას გაუხარდა.

მოხუცმა მექურემ იმ ღამეს ვერ დაიძინა, ქარხანაში წავიდა და ამხანაგებს უთხრა:

— ამერიკელები აიბარგნენ, მოდით, ძეგლი დავდგათ ხვალ დილით ქალაქში რუსები მოვლენ და მოედანზე ლენინს ნახავენ.

დრო ცოტა ჰქონდათ. ზაფხულის ღამე მოკლეა. მაგრამ მუშის ხელებს შრომისა არ ეშინია. ყველამ ერთსულოვნად მოჰკიდა ხელი სამუშაოს და შუაღამისათვის მოედანზე უკვე აღიმართა ქვის მაღალი კვარცხლბეკი. შემდეგ მოიტანეს ქანდაკება და ზედ დადგეს.

დილის მზემ გაანათა ბრინჯაოს მაღალი ფიგურა: ლენინი ცოცხალივით იდგა მოედანზე ახალი დღის შესახვედრად გაწვდილი ხელით...

ასე გაჩნდა ქალაქში ლენინის ძეგლი. ის ახლაც იქ დგას. პირველ მაისს კვარცხლბეკთან იკრიბებიან პიონერები, რთავენ მას გაზაფხულის ყვავილებით; ლენინი კი დგას და კეთილი, ლენინური ღიმილით გაჰყურებს ძველ გერმანულ ქალაქს.

თარგმნა ბ. შელიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინათინ კვირიკაძე

ნახატი ალ. ბანძელაძისა

მორიგე

აჩქარებულ ნაბიჯით
გამოვიდა ბინიდან
და მარინე სკოლაში
სულ პირველი მივიდა.
მერცხალივით გოგოა,
მუყაითი, გამრჯელი,
დაფა გააბრიალა,
გამოალო ფანჯრები.
რვეულები დააწყო,
მერხზე ნაწილ-ნაწილად,
მასწავლებლის მაგიდა
გულმოდგინედ გაწმინდა;
ჯარასაით ტრიალებს,
ეს პატარა მორიგე.
მალე კოხტად ჩაცმული
სანიტრებიც მოვიდნენ.
ხვალ რუსიკოს ჯერია,
მოვა დილაადრიან,
რა ფაქიზი, რა კარგი
გოგონები არიან!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ბაქრაძე
საბჭოთა კავშირის გმირი

ნახატი ზ. მეძმარიაშვილისა

მუდამ უნდა ფრთხილობდე

(პარტიზანის მოგონება)

მტერმა უკან დახევა იწყო, დილის ცხრა საათისათვის სოფელი მტრისაგან თითქმის საბოლოოდ გაწმენდეთ.

მართლაც დაუვიწყარი ღამე იყო. არცერთ პარტიზანს არ დაუსვენია. ავტომატმოღერებული დარბოდნენ ისინი ეზოებსა და ქუჩებში. ჩვენი ყიჟინი ცას სწვდებოდა. გაქცეულ მტერს მუსრს ავლებდნენ პარტიზანები. ზოგმა გაქცევაც ვეღარ მოასწრო. საათობით გარინდებული ისხდნენ საქათმეებში შემძვრალი გერმანელები. ამ სურათის მნახველი პატარა ვასია მიროშკინი არაჩვეულებრივად მხიარული იყო; სულ დარბოდა და იცინოდა.

— აქ არის, აქ! სად შემძვრალა, ხედავთ! გარეთ გამოდი, ჩქარა, გამოდი მეთქი, გეუბნები!—მიმართავდა ვასია საქათმეში დამალულ ფაშისტს და ავტომატს მოღერებდა.

— ვასია!—ვუთხარი მას,—ბევრს ნუ დახტიხარ, ფრთხილად იყავი; ხომ ხედავ, სოფელი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გაწმენდილი მტრისაგან, სიფრთხილე გმართებს!

— ეჰ, ამხანაგო მეთაურო, სამწყებად შეკრული მტრის თავდაცვაში შევპარულვარ, იქ ორ-სამ დღეს დავრჩენილვარ და შემდეგ უვნებლად დავბრუნებულვარ. საქათმეში და საბატეში თავშეფარებული ფრიცები აბა, რას დამაკლებენ?!

— ფრთხილად, ჩემო ვასია, ფრთხილად იყავი, კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანს!

— დარიგებისათვის გმადლობთ, ამხანაგო მეთაურო, ფრთხილად ვიქნები! —თავაზიანად მითხრა ეს უკანასკნელი სიტყვები და ისევ სირბილით გაუდგა გზას. ბავშვს თვალი გავაყოლე და გამეღიმა: ამ პატარა ბიჭუნას რამდენჯერ უხსნია ჩემი ასეული განსაცდელისაგან, პარტიზანების დავალება რამდენჯერ პირნათლად შეუსრულებია.

— ამხანაგო მეთაურო!—მითხრა ამ დროს ოცეულის უფროსმა,—შემოწმების შედეგად მოგახსენებთ, რომ სოფელი მტრისაგან საბოლოოდ გაწმენდილია.

— ერთხელ შემოწმება არ კმარა; სოფლის ყველა კუნჭული გასინჯეთ!

— კიდევ შევამოწმებთ, ამხანაგო მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაურო!—თქვა მან და ფიცხლავ გზას გაუდგა.

პარტიზანები ქუჩებში ცხენებს კვლავ დაადგელვებდნენ, ძაღლები განუწყვეტლივ ყეფდნენ.

უცბად ავტომატის ჯერის ხმა გაისმა. ამ ხმას რამდენიმე ავტომატი გამოეხმაურა. მალე იქით გავიშურე.

— ნუ მოკლავ, ცოცხლად დავირჩინოთ!—გაიძახოდნენ პარტიზანები და თან პატარა ქოხს ალყას ავლებდნენ.

— რა მოხდა?—ვიკითხე და ამ დროს დავინახე, რომ ფარაჯაზე გაწოლილ ცხედარს ჩემსკენ მოასვენებენ პარტიზანები.

— ვასია მოგვიკლეს, ამხანაგო მეთაურო, საბრალო ბავშვი! მერე რა უბრალო შემთხვევაზე წააგო თავი!—მეუბნება დამწუხრებული პარტიზანი.

ერთ ადგილზე გავქვავდი; ვხედავ, ის არის, ჩემი პატარა ვასია, ჩვენი ერთგული მებრძოლი. გულამომჯდარი, გაფითრებული ვდგევარ, ვგრძნობ, რომ თვალები მეწვის, ცრემლი მერევა. ქუდი მოვიხადე.

— რა მოუვიდა ამ საცოდავ ბავშვს?!—ვკითხე პარტიზანებს.

— აი, იმ ქოხის სახურავზე, მტერი ყოფილა დამალული, ბავშვს ჩაუვლია, ჰიტლერელმა სახურავიდან ავტომატის ჯერი დაახალა.

ვასიას მჯა გაეუსინჯე, სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. თვალების უპეები სველი ჰქონდა, ჩანდა სიკვდილის წუთებში უტირია საბრალოს.

ოცი წუთის წინ, სწორედ აქ, იმ ადგილას, სადაც მისი ნეშტი ესვენა, ეს სიცოცხლით სავსე, ცქრიალა ბავშვი დახტოდა და კისკისებდა.

— ვასია მოუკლავთ, ვასია მოუკლავთ!—იძახდნენ ყოველი მხრიდან მოსული პარტიზანები... ცხედარის ირგვლივ წრედ იდგნენ ქანდაკებასავით გაქვავებულები და ქუდმოხდილები...

— მკვლელი სად არის? – ვიკითხე.

მოხუცმა პარტიზანმა ფეხი წინ წამოდგა:

— ამხანაგო მეთაურო, გვინდოდა მკვლელის ცოცხლად დაჭერა, მაგრამ არ მოხერხდა, სახურავიდან ისკუპა იმ ძაღლმა; იძულებული ვიყავით, მოგვეკლა, თორემ შეიძლებოდა ხელიდან წავგასვლოდა.

მთელმა შენაერთმა უმალ გაიგო ვასიას დაღუპვის ამბავი, სინანულს გამოთქვამდა დიდი და პატარა.

გმირ პატარა ვასიას, მკერდიდან სამამულო ომის პირველი ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენები ავხსენი და მის ბიძას ჩავაბარე, რომელიც ჩვენს შენაერთში ომის დაწყებიდან იბრძოდა. პატარა ვასია სწორედ ამ ბიძამ მოიყვანა ჩვენთან, რადგან ვასიას მშობლები ფაშისტებს ჩამოეხრჩოთ.

ვასია, შტაბის მახლობლად, მაღალი ნაძვის ძირში, სამხედრო წესრიგით დავკრძალეთ. სასაფლაოზე ხის ძეგლი აღვმართეთ წარწერით: „აქ განისვენებს ჩვენი პატარა ვასია მიროშკინი, კოვპაკის სახელობის პარტიზანების შენაერთის მეკავშირე“.

უპატრონოდ დარჩა ბავშვის ცხენი. ეს ცხენი ვასიას უკრაინის ერთ სოფელში გლეხმა აჩუქა. „დამთავრდება ომი და ჩემს ბიჩას დიდი მადლობით პატრონს დავუბრუნებო“ ამბობდა ბავშვი.

ვასიას ტოლებმა, შენაერთის მეკავშირეებმა, გადაწყვიტეს პატივი ეცათ ამხანაგისათვის, ომის დამთავრების შემდეგ აესრულებინათ ვასიას ანდერძი, ცხენი პატრონისათვის ჩაებარებინათ. მაგრამ ერთ-ერთი ბრძოლის დროს, რკინიგზის გადასარბენზე ცხენი ავტომატის ტყვიებმა დაცხრილეს.

დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს შენაერთს პატარა მეკავშირეებმა. დიდებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ კომკავშირლები და პიონერები, ისინი დაზვერვაში სასწაულებს ახდენდნენ.

ქეთევან ჭილაშვილი

ნახატი ვლ. ტოროტაძისა

სამი მოთხრობა

ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე!

მარინე სოფელში ჩავიდა თუ არა, თავისი ტოლი მაგდა იკითხა. აი, წითელკაბიანი მაგდაც! პაწია გოგონები მეგობრულად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

მარინემ მაგდას ორი ცალი შოკოლადი გაუწოდა. მაგდამ ერთით მაშინვე პირი ჩაიტკბარუნა, მეორე კი ჯიბეში შეინახა.

თამაშობაში მაგდას შოკოლადი დაჰკარგოდა.

— ვაიმე, ჩემი შოკოლადი!—შეწუხებული ხმით იძახდა მაგდა, თან ცარიელ ჯიბეში ხელს აფათურებდა.

მერე რაღაც გაახსენდა, ხელები ზურგზე დაიწყო და შოკოლადს გულმოდგინედ დაუწყო ძებნა:

— ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ, ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ!—იმეორებდა მაგდა, უფროს და-ძმისაგან გაგონილ სიტყვებს.

მარინე ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა მეგობარს.

— მაპოვნინა, მაპოვნინა!—შესძახა გოგონამ და წითელ ქაღალდში გახვეული შოკოლადი ხელში აიტაცა.

— ახლა შენ აპოვნინე ჭიას დედა!—გაახსენა მარინემ.

— როგორ უნდა ვაპოვნინო?—გადაიკისკისა მაგდამ.

— მაშ რატომ შეჰპირდი?—მოჭმუხნა სახე მარინემ.

— ისე, ტყუილად!

— ტყუილად შეჰპირდი?

მაგდამ იგრძნო, რომ მარინეს არ მოეწონა მისი ნათქვამი, გაახსენდა დედის დარიგება:

პირობას თუ დადებ, უნდა კიდეც შეასრულოო.

შეწუხებულმა გოგონამ თავი ასე გაიმართლა:

— მე ვერ დავინახე, რომელმა ჭიამ მაპოვნინა, თორემ დედას რატომაც არ ვაპოვნინებდი?!

მეგობრები ისევ წითელ ქაღალდში გახვეულმა შოკოლადმა შეარიგა.

ნაპოვნი შოკოლადი მათ შუაზე გაიყვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეჯანი

საბავშვო ბაღის ეზოში ბავშვები გაფანტულიყვნენ; ზოგი ცხენობანას თამაშობდა, ზოგი—ბურთს; თეთრბანტიანი ლეანა ჰაერზე დედოფალას აძინებდა, დარეჯანი და რუსუდანი კი ეზოში დაყრილ ქვიშაში თამაშობდნენ.

აღმზრდელმა ბავშკებს საუზმეზე დაუძახა.

დარეჯანი და რუსუდანი ხელების დასაბანად წყლის ონკანთან ყველაზე ბოლოს მივიდნენ.

ამ დროს მათ დამლაგებელ ლიზას ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმათ:

— ნეტავი ვიცოდე, ქვიშიანი ნაფეხურებით ვინ დამისვარა იატაკი?— ჯავრობდა იგი.

წამოწითლებულმა დარეჯანმა და რუსუდანმა ერთმანეთს შეხედეს, დანაშაული იგრძნეს.

—რუსუდან! მოდი, ჩვენ თვითონ მოვასუფთაოთ იატაკი.—შეეხვეწა დარეჯანი.

— რა ჩვენი საქმეა?—მიუგო შუბლშეკრულმა რუსუდანმა, ხელები შეიმშრალა და სასაუზმო ოთახში შეირბინა.

დარეჯანი კი საკუჭნაოსაკენ ბუტბუტით მიმავალ დეიდა ლიზას წამოეწია, იატაკის ტილოს აღება დაასწრო და სირბილით უკან გამობრუნდა.

დარეჯანის საქციელით გაკვირვებული დეიდა ლიზა ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს მის მოქმედებას.

დარეჯანმა იატაკს გულმოდგინეთ დაუწყო წმენდა, გახარებულმა დამლაგებელმა ალერსიანი თვალებით შეხედა პატარას და ტილო ჩამოართვა.

— ყოჩაღ, დარეჯან, ყოჩაღ! - შეაქო აღმზრდელმა მასწავლებელმა დარეჯანი, მხარზე ხელი გადახვია და ხელის დასაბანად გაგზავნა, რომ საუზმეზე არ დაჰგვიანებოდა.

გულკეთილი ბიჭუნა

ნოდარის მამა სამსახურიდან რომ დაბრუნდა, თავის ბიჭუნას ქაღალდში გახვეული სათამაშო მოუტანა.

ნოდარმა მაშინვე გახსნა ქაღალდი და საჩუქრით კმაყოფილმა შესძახა:—მოტორიანი ნავი!.. რა კარგია!..

გახარებულმა პატარამ მეზობლად მცხოვრებ გივისთან შეირბინა.

მეგობრებმა გულდასმით დაათვალიერეს სათამაშო, მერე კი მომართეს და წყლით სავსე აბაზანაში გაუშვეს.

— მიცურავს, მიცურავს!..— აღტაცებით შესძახეს ბიჭუნებმა.

— ნოდარ, მეც რომ ასეთი ნავი მქონდეს, შეეაჯიბრებდით,—რომელი გაუსწრებდა!..—თქვა გივიმ.

ის იყო ნოდარს უნდა ეთქვა: მამამ შენც გიყიდოსო, რომ გაახსენდა—გივის მამა არა ჰყავდა...

— გივი, ეს ნავი შენი იყოს, მე მამიკოს ვთხოვ და კიდევ ძიყიდის.—მეგობრულად უთხრა ნოდარმა გივის.

გივიმ უარის ნიშნად თავი გააქნია, მაგრამ ნოდარი ისე წამოვიდა სახლში, რომ სათამაშო აღარ წამოიღო.

ოთახში შესვლისთანავე ბავშვმა მამასთან მიირბინა:

— მამიკო, კიდევ მიყიდე ნავი!— მოწიწებით უთხრა მან მშობელს.

— მერე და რად გინდა ორი ერთნაირი სათამაშო? გაიკვირვა მამამ.

— ის გივის ვაჩუქე, იმას ხომ მამა არა ჰყავს?!— თანაგრძნობით უპასუხა ბავშვმა.

მამამ ნოდარს გულკეთილობა მოუწონა და ნავის ყიდვას დაჰპირდა.

მაყვალა მრევლიშვილი

ოქვენთან გვინდა თამაში

ნახატები შ. ცხადაძისა

წესრიგი

მოითმინე, კურდღელო,
უნდა ფრთხილად იარო,
ვიდრე მე არ განიშნებ,
გზა არ გადაიარო!

ასე მოუსვენარი
და სულსწრაფი რადა ხარ;
გავატარებ მანქანას,
და მერე შენ გადახვალ.

ის რიგი რომ ჩაივლის,
გზას გადაჭრის ეს რიგი,
მე გოგიამ დამავალა,
რომ დავიცვა წესრიგი.

ოქვენთან გვინდა თამაში!

იჰ, იჰ, რა კარგები ვართ,
სუფთები და კოხტები,
ნეტავ გაგვაგებინა,
რომელ ბავშვთან
მოვხვდებით;

ძალით ხომ არ
დაგვამტრევს,
ხომ არ დაგვაზიანებს?
გვინდა,
შევხვდეთ პატარებს

ცქვიტებს,
თავაზიანებს.
ფაბრიკებში გაგვაწყვეს
ხელით, ფეხით, თავ-პირით,
ბავშვებს გავახარებთო,—

ყველას ასე დავპირდით.
იჰ, იჰ, რა კარგები ვართ,
ახალთახალ კაბაში,
წაგვიყვანეთ, ბავშვებო,
თქვენთან გვინდა თამაში!

საანგარიშო

ეს ერთია,
ეს ორია,
ესეც—სამი ცალია,
მერე—ოთხი,
მერე—ხუთი...
ადვილია ძალიან,
სასეირნოდ, სათამაშოდ
სულ აღარა მცალია!
თამარქალი
თვლას მასწავლის,
დასათვლელი მიყიდა,—
მძივებივით ვაჩხაკუნებ
აქეთა და იქითა.
აი, ერთი, აი, ორი,
ერთად – სამი ცალია!..
ხის რგოლებით
ვანგარიშობ,
მიხარია ძალიან!





ანბანი

მე ვარ ასო ა-ნი,
მე გახლავარ ბ-ანი,
მე კი—ასო გ-ანი,
აგერ მორბის დ-ონი!
სხვა დ-ძმებიც გვყვანან
ჩვენი მომდევნონი.
ანი,
ბანი,
განი,

განი, ბიჯო, განი!
ჩამოვმწკრივდით, ნახეთ
დონს მოჰყვება ენი.
ანბანი ვართ კოხტა,
ყველას მოსალხენი.
ოცდაცამეტნი ვართ
სულ დები და ძმები,
შეისწავლი ყველას,
როცა გაიზრდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯ. გოგიაშვილი

ნახატი **გრ. ჩირინაშვილისა**

მდინარის პირას

საღამოვდებოდა.

ვიწრო ხეობაში პიონერ-მოსწავლეებით სავსე მანქანა შეჩერდა,—რაღაც გაუფუჭდა.

—ბალე გაკეთდება?—ჰკითხა ლაშქრობის ხელმძღვანელმა თედოს შოფერს.

– სულ მალე,—მიუგო შოფერმა.

მაგრამ უეცრად ქარმა დაუბერა, ღრუბელი შეჰყარა და მალე წვიმაც წამოვიდა.

თედომ განკარგულება გასცა და მანქანა რამდენიმე წუთში დაცარიელდა. სურსათ-სანოვაგე და სამგზავრო ნივთები გადაიტანეს დიდი კაკლის ხის ქვეშ, მდინარის პირას.

კოკისპირული წვიმა მოდიოდა.

ბავშვები დაფაცურდნენ და მალე კარვები გაშალეს. ცეცხლი დაანთეს, ივახშმეს და ყველანი თავიანთ საქმეს შეუდგნენ: საგზაო ნათურაზე ზოგი ჭადრაკს თამაშობდა, ზოგი დღიურს წერდა და ზოგიც კედლის გაზეთს ამზადებდა.

უცბად ყველანი შეკრთნენ. გარედან რაღაც ხმაური გაისმა. ბავშვები კარვიდან გარეთ გამოცვივდნენ.

—ძია თედო, გესმით?

— აქეთ, აქეთ... ჯოტია აქეთ წამოდი... ვაიმე, რა ვქნა, – მოისმა ხმა, რომელსაც გაბმული ტირილი მოჰყვა.

—ვილაც ტირის,— თქვა თედომ და მდინარეს მიუახლოვდა.

ცამ დაიგრგვინა, გაიელვა, დაიჭექა და სადღაც შორს მეხი გავარდა, წვიმისა და მდინარის ხმაური იქაურობას აყრუებდა. თედომ ელექტროსანათი აანთო და მეორე ნაპირს მიანათა, წყალში რაღაც ლანდი მოჩანდა.

—მმუუუ!—გაისმა ზმუილი.

— ეგ სანათი და თოკი მომეცით,— უთხრა თედოს პიონერხელმძღვანელმა გივიმ, რომელმაც კარგი ცურვა იცოდა.

– თოკი მოიტანეთ!—გასძახა თედომ.

თენგიზი კარვისაკენ გაიქცა და თოკი სწრაფად მოიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივიმ ფეხსაცმელები გაიძრო, შარვალი აიკეცა, თოკი წელში ჩაიბა, თოკის ბოლო თედოს მიაწოდა. სანათი გამოართვა.

—თედო! თოკს ხელი არ გაუშვა; ნუ გეშინიათ, სახიფათო არაფერია, წყალი პატარაა.—თქვა მან და ფეხი მდინარეში შედგა.

—სად მიხვალ, კაცო, არ იცი, რა ძლიერია მთის წყალი?! —შესძახა თედომ, მაგრამ წყალში შესული გივი სანათით უკვე გზას მიიკვლევდა.

—უკან დაბრუნდი, ნუ მიდიხარ!— კვლავ შესძახა თედომ გივის და თოკი აღარ მიუშვა.

—თოკი გამოუშვი, თორემ წავიქცევი!—დაიყვირა გივიმ და გზა მაინც განაგრძო.

—ვი... პო... ვნე!..—ცოტახნის შემდეგ წამოიძახა გივიმ, ის უკვე გარკვევით ხედავდა წყალში ჩამდგარ ძროხას, რომელიც ადიდებულ მდინარეს ებრძოდა.

—შენი ჭირიმე, მომეხმარე!...—მოესმა უცბად ბავშვის ხმა. გივიმ სანათი ასწია და დაინახა მაღალ ქვაზე შესკუპებული ბიჭუნა, რომელსაც ხელში სახრე ეჭირა. მან ძროხისაკენ გაიწია, მაგრამ გაუჭირდა წყალთან ბრძოლა, ფეხს ძლივს იკიდებდა.

—ეჰეი... ეჰეი—ისმოდა ნაპირიდან ხმა.

— აქა ვარ, აქა, მალე გა·მო...ვალ!...— გასცა პასუხი გივიმ, მერე ძროხას მისწვდა, რქებში თოკი ჩაება და ხმამაღლა გასძახა:

— თოკი გასწიეთ, თოკი!

თედომ და ბავშვებმა თოკი გასწიეს

გივიმ ძროხა იქ გაიჩერა, სადაც წყალი პატარა იყო. და ისევ უკან გაბრუნდა.

— რა ვულადია გივი, ხედავ?

— ეს პატარა წყალი როგორ შეაშინებს, ცურვაში პირველობა აქვს აღებული!

— ძია თედოც იმიტომ დათანხმდა ამ წყალში შესვლაზე!—ისმოდა ბავშვების საუბარი.

გივი ქვაზე მჯდომ ბიჭუნას მიუახლოვდა:

— მწყემსი ხარ?

— დიახ.

— გამოლმა უნდა გამოხვიდე?

— ჰო!

— წამოდი, შენი ძროხა უკვე სამშვიდობოზეა; ერთად გავიდეთ, ნაპირზე ჩვენები არიან,—უთხრა მან სახეგაბრწყინებულ ბიჭს და ხელი გაუწოდა.

ბიჭუნა ფრთხილად ჩამოვიდა ძირს, გივის ხელი ჩაჰკიდა და ორივე ნაპირისაკენ გაემართა.

— თოკი გასწიეთ, თოკი.—დაიყვირა გივიმ.

ყმაწვილები ამოძრავდნენ, თოკს ჩაეჭიდნენ და მცირე ხნის შემდეგ წელამდე დასველებული გივი, სოფლელი ბიჭუნა და ძროხა უკვე ნაპირას იყვნენ.

წვიმამ გადაიღო. ქარმა ღრუბლები გაჰფანტა, ცაზე აქა-იქ ვარსკვლავები გამოჩხდნენ.

— ვინ ხარ, ბიჭიკო?—ჰკითხა თედომ სოფლელ ბიჭს.

— ტყეში ჩემი ჯოტია ძროხა დავკარგე, ვეძებდი, შემომაღამდა... ჯოტია კინაღამ წყალმა დაახრჩო, ფონი ველარ ვნახე...

— აქაური ხარ?

— დიახ.

— წავიდეთ, ბავშვებო,—გასძახა თედომ ბავშვებს და ყველანი კარავში შევიდნენ.

კარვის შესასვლელთან ცეცხლი გუზგუზებდა და ნაპერწკლებს ისროდა.

— აბა, სწრაფად გაიხადე ტანსაცმელი, სულ მთლად სველი ხარ, გავაშროთ!—მიუბრუნდა უცნობ ბიჭს თედო.

გარედან ძროხის ბღავილი მოისმა.

— გმადლობთ, სახლში წავალ,—თქვა სოფლელმა ბიჭუნამ და წასვლა დააპირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცა, გაშრი, გათბი, შეგციოდეგოდა,—შეაჩერა თედომ.

— არა, ძია, წავალ, ახლოს ვცხოვრობ.

— რა გქვია, ბიჭიკო?

— ელგუჯა.

— სწავლობ?

— დიახ.

— ბავშვებო, ტანსაცმელი გამოიცვალეთ, წვიმამ თქვენც დაგასველათ!—მიმართა ექიმმა.

— მარდად გამოიცვალეთ და შემდეგ აბა, თქვენ იცით! - დაუმატა თედომ და ბავშვებს თითქოს რაღაც ანიშნაო, - პიონერები დატრიალდნენ, სტუმარს ტკბილეული მიართვეს, ახალი წიგნებიც აჩუქეს.

— ეს მოთხრობა ვიცი, ამასწინათ რადიოთი მოვისმინე!—წამოიძახა გახარებულმა ელგუჯამ და წიგნი გადაფურცლა. მერე თედოს და გივის დიდი მადლობა გადაუხადა, ბავშვებს დაემშვიდობა, ერთმანეთის მისამართი ჩაიწერეს და გარეთ გამოვიდა.

— წავიდეთ, ჯოტია,—დაუყვავა მან კარავთან მდგარ ძროხას და წინ გაიგდო.

აღმართზე ღიღინით მიდიოდა ელგუჯა.

თვითონაც კარგად არის, ჯოტიაც დახრჩობას გადარჩა, ბავშვებიც გაიცნო. რა კარგ დროს შეხვდნენ ეს ქალაქელი პიონერები! წელს უეჭველად წაჰყვება მამას ქალაქში და ახალ მეგობრებსაც ინახულებს, თვითონაც ხომ ქალაქში უნდა ისწავლოს შემდეგ! - ფიქრობდა იგი გზაში და ხვეულ ბილიკებს მხიარულად მიჰყვებოდა.

განთიადისას გაისმა საყვირის ხმა და მოლაშქრე პიონერ-მოსწავლეები მდინარის პირას შეიკრიბნენ. სუფთა ჰაერზე ივარჯიშეს, ისაუზმეს და წასასვლელად მოემზადნენ.

დილით, ნაჩუქარი წიგნებით ხელში გზაზე მდგარი ელგუჯა, თავის ჰატარა დასთან ერთად, ხელს უქნევდა ხეობაში მიმავალ მანქანას, რომელზედაც ისხდნენ ჰატარა მოლაშქრეები.

ბ ზ რ ი ა ლ ა

ნინო ნაკაშიძე

— ერდი მიყურეთ, რა ყოჩაღი ვარ, როგორ ვტრიალებ! ბზრრ, ბზრრ, ბზრრ! აბა, ვინ არის ჩემისთანა სწრაფი, ვის შეუძლია შემედაროს? ბზრრ, ბზრრ!—ზუზუნებდა ბზრიალა.

ჰატარა დათიკოს, რომელიც თასმას უქნევდა ბზრიალას და ატრიალებდა, ამხანაგმა დაუძახა და გაიქცა. ბზრიალა მაინც ბზუოდა და ტრიალებდა, მაგრამ ჩქარა ტრიალი შეანელა და წაიქცა.

სათამაშოები: თოჯინა, დათვი, ცხვარი და სხვები უცქეროდნენ, რომ ბზრიალა წაიქცა და კი არ ებრალებოდათ.

— ასე ეკადრება მკვეხარას, - ბურღღუნებდა დათვი.

— რა ამპარტავანი იყო, ასე ეგონა, რომ თვითონ ტრიალებდა,—ამბობდა დინჯი ცხვარი.

— ჰამ, ჰამ, ჰამ, ასე ეგონა, მუდამ ასე ვიტრიალებო,—ჰყეფდა შავი ფინია.

— როგორ მოსწონდა თავი, და როგორ წაიქცა! არც ისე ლამაზი ყოფილა, როგორიც ჩანდა,—იცინოდა ლურჯთვალებიანი და თეთრკაბიანი თოჯინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფაბიანი ბორგანელი

ნოდარის ოცნება

1.

გუშინ დიღით ჩამოვიდა
მოსკოვიდან ჩემი ბიძა.
შორიდან რომ დავინახე
დავიბენ და ვერც კი ვიცან.
არ დავმაღავ, გეტყვით მართალს,
სიხარულით ღამის ვხტოდი.
მის ბრწყინვაღე ოქროს ვარსკვლავს
იცით, როგორ შევხარ ოდი?!
დედას ვკითხე, ეს ვარსკვლავი
რად მიიღო ბიძამ, ნეტავ?
ჯერ აღერსით გამიღიმა,
მიპასუხა მერე დედამ:
მან მანქანა გააკეთა,
თვითონ ფარცხავს, თვითონ თესავს,—
კოღმეურნე გლეხებს მოჰყავთ
მოსავალი უკეთესად.
ამგვარ შრომას, ამგვარ საქმეს
სასახელო ჯილდო ელის.
გავიზრდები და გავხდები
გმირი გამომგონებელი.

2.

ამ მშვენიერ ფართო ქუჩას,
მზე რომ აფენს უხვად ნათელს,
იცით, იგი რად ატარებს
ღესელიძის უკვდავ სახელს?
ღესელიძე გმირი იყო,
ხალხს ძაღ-ლონე მოახმარა.
სამშობლოში, ჩვენს მიწაზე,
მან მტერი არ გაახარა
გმირ არმიას მიუძღოდა,
სწამდა ხალხის მომავალი.
პირისისხლიან მტრების ურდოს
მუსრს ავლებდა ცეცხლის აღით.
როცა დიდი გავიზრდები,
უნდა გავხდე ხალხის მცველი,
როგორც გმირი ღესელიძე
მამაცი და უძღეველი.

3.

ზღვისპირად დგას, თვალს აყოღებს
მოცურავე გემებს, ნავებს,
და საოცრად უკვირს ნოდარს
ზღვის სიგრძე და ზღვის სიგანე.
უზარმაზარ ტალღებს გემი
როგორც ხმალი ისე ჭკვეთავს.
გულს იტაცებს, ახალისებს,
მეც ამ გემზე ვიყო ნეტავ.
ზღვა ბობოქრობს, ზღვა ხმაურობს,
თვალუწვდენი, გასაკვირი.
გადაღახო ეს ზღვა ვრცელი,—
უნდა იყო მართლაც გმირი.
შორს მოჩანან ღურჯი მთები,
ზღვას არ უჩანს სიგრძე-განი.
გავიზრდები და გავხდები
დიდი გემის კაპიტანი!

* * *

მოსწონს ნოდარს გარჯა, საქმე
კაპიტანის, აგრონომის,
ვინც ქვეყნისთვის იღწვის მუდამ
ალად საქმით, ალად შრომით.
საბჭოეთში ყველა შრომობს,
დაუზარელს ყველა აქებს,
რადგან შრომა ღირსების და
სიმამაცის იქცა საქმედ.
გავიზრდები, ავაყვავებ
ჩვენს მშობლიურ მთებს და მდელოს.
არ დავზოგავ ჩემს ძაღ-ღონეს,
რომ სამშობლო ვასახელო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ჯრიშვილი

„გამომგონებელი“

ერთ ჭაობში, ტირიფის ქვეშ, გარეულმა იხვმა ჭუჭულები გამოჩეკა. დედამ ისინი ბილიკით ტბისაკენ წაიყვანა. შორიდანვე შოვკარ მათ თვალი და ხეს მოვეფარე. ჭუჭულებმა სულ ახლოს ჩაშიარეს; სამ მათგანს ხელი ვტაცე და შინ წავიყვანე. დანარჩენებმა გზა განაგრძეს.

ეს შავი ჭუჭულები მალე წამოიჩიტნენ და ნაცრისფერები გახდნენ..

ერთი მათგანი ჭრელი, ლამაზი მამალი იხვი დადგა, ხოლო ორი—დედალი, რომლებსაც დუსიკო და მუსიკო დავარქვი, რომ არ გაფრენილიყვნენ, ფრთები შევაჭერი და ეზოში შინაურ ფრინველებთან ერთად გავუშვი.

დადგა თუ არა გაზაფხული, გარეულ იხვებს ძველმანებისაგან სარდაფში სწორედ ისეთი საბუდარი გავუმართე, როგორიც ჭაობში ჰქონდათ. დუსიკომ თექვსმეტი კვერცხი დადო და ჭუჭულებიც გამოჩეკა. მუსიკომ თოთხმეტი კვერცხი დადო, მაგრამ კრუხად არასგზით არ დაჯდა. რამდენი ვეცადეთ და იმ სულელმა დედობა მაინც არ ისურვა. სხვა გზა არ იყო, კვერცხებზე ჩვენი თავმომწონე შავი დედალი დავსვით.

გავიდა დრო. ჭუჭულები გამოიჩეკნენ. ერთხანს ისინი სამზარეულოში მყავდა, კარგადაც ვუვლიდი.

თბილი დღეები დადგა თუ არა, დუსიკო თავის შავ ჭურჭლებს გუბისაკენ წაუძღვა, შავმა კრუხმა კი თავისი შვილობილები ბოსტანში ჭიაყელების საძებნად წაიყვანა.

—ვიტ! ვიტ! —გაიძახოდნენ გუბეში ჭუჭულები.

— კვატ-კვატ! —უპასუხებდა მათ იხვი.

— ვიტ-ვიტ! —გაიძახოდნენ ბოსტანში ჭუჭულები.

— კრუხ-კრუხ!—ეპასუხებოდა მათ ქათამი.

ჭუჭულებს არ ესმოდათ, რას ნიშნავდა ეს „კრუხ, კრუხ“, ხოლო რაც გუბიდან ესმოდათ, ის გასაგები იყო.

„ვიტ-ვიტ“ — ნიშნავდა: „ჩვენიანო, ჩვენთანო“ ხოლო „კვატ-კვატ“—„გარეულო იხვებო, მალე აქეთ მოცურდითო“.

და ისინიც რა თქმა უნდა, გუბისაკენ მირბოდნენ.

— მოცურდით, მოცურდითო! – და ისინიც იქით მიცურავდნენ.

— კრუხ-კრუხ!—კრიანობდა ნაპირზე შავი ქათამი.

ჭუჭულები კი მაინც მიცურავდნენ. ბოლოს იხვებში აირივნენ.

დუსიკომ სიხარულით მიიღო თავისი დისწულები.

იხვების დიდი ოჯახი მთელ დღეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცურავდა გუბეში; შავი ქათამი კი გაბრაზებული ბუზღუნებდა, თან გუბის პირას მიწას ქექავდა, რომ ჭიაყელებით მაინც მიეზიდა იხვის ჭუჭულები.

საღამო ხანს, დუსიკომ ჭუჭულები მწკრივად გაიყვანა მშრალ ბილიკზე. მათ გრძელი ნისკარტების ქნევით ცხვირწინ ჩაუარეს შავ ქათამს, და არც ერთმა ყურადღება აღარ მიაქცია თავის დედობილს.

შინ ყველა ერთად მაღალ კალათში ჩავსხით და სამზარეულოში, თბილ ქურასთან მოვათავსეთ.

დილით, ადრე, ჯერ კიდევ გვეძინა, რომ დუსიკო კალათის გარშემო დადიოდა და თან ჭუჭულებს ეძახდა. ისინი ერთხმად უპასუხებდნენ. ამ ჟრიამულში ერთი ჭუჭულის ხმა ცალკე გამოირჩეოდა;

სამზარეულოში გავიქეცით და ვნახეთ, რომ მარტო დუსიკო როდი ამოსულიყო კალათიდან, მის გვერდით ერთი ჭუჭული მოუსვენრად დარბოდა. როგორ შესძლო ამ პატარა ონავარმა კალათიდან ამოძრომა, კალათა ხომ ძალიან მაღალი იყო! ამ ჭუჭულს ცალ ფეხზე ნიშანი დავადე და ისე გავუშვი.

მეორე დილას ჭუჭულის ხმა მოგვესმა თუ არა, სამზარეულოში გავჩნდით იატაკზე დუსიკოსთან ერთად დარბოდა ის ჭუჭული, რომელსაც ფეხზე ნიშანი ედო. დანარჩენი ჭუჭულები კალათში წოდნენ და ცდილობდნენ იქიდან ამოსვლას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. ამ ონავარმა კი ტყვეობას მაინც დააღწია თავი!

— მან რაღაც საშუალება მოიფიქრა, — ვთქვი მე.

— ეგ გამომგონებელია! — დაიყვირა ჩემმა ბიჭუნამ.

გადაეწყვიტე, როგორმე გამეგო, თუ როგორ სძლევდა ეს „გამომგონებელი" ამ ძნელ ამოცანას: ფარფლიანი თათებით როგორ ავიდა კალათის შვეულ კედელზე? მეორე დილას, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვებსაც და იხვის ჭუჭულებსაც ეძინათ, ავდექი და სამზარეულოში სინათლის ამოძრთველთან დავჯექი, რომ სწაფად ამენთო ნათურა და დამენახა, რა ხდებოდა კალათში.

აი, გათენდა კიდეც.

— კვატ-კვატ! — აქოთქოთდა დუსიკო.

— ვიტ-ვიტ! — უპასუხა ერთმა ჭუჭულმა.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ეძინათ ბავშვებს, ეძინათ ჭუჭულებს. ფაბრიკიდან საყვირის ხმა მოისმა. დღის სინათლემ იმატა.

— კვატ-კვატ!—გაიმეორა დუსიკომ.

არავინ უპასუხა. მაშინვე მივხვდი, რომ „გამომგონებელს" არ ეცალა, ის უთუოდ ახლა სწყვეტდა იმ თავის ძნელ ამოცანას და შუქი სწრაფად ჩავრთე, სწორედ ისე მოხდა, როგორც ვფიქრობდი: იხვი ჯერ ფეხზე ამდგარი არ იყო, ჭუჭულებს დედის ფრთის ქვეშ ეძინათ; ხოლო ის ერთი, ფეხზე ნიშანი რომ ედო, მის ზურგზე ნელ-ნელა აცოცდა და როცა დუსიკო წამოდგა, შვილი კალათის პირამდე აიყვანა. ჭუჭული თავგვივით გაცუნცულდა მის ზურგზე და სკუპ, ძირს გადახტა! მას დედაც მიჰყვა და დაიწყო დილის ჩვეულებრივი აურზაური. დედა-შვილის ხმაურმა მთელი სახლი გააყრუა.

ორი დღის შემდეგ, დილით, იატაკზე სამი ჭუჭული აღმოჩნდა. მერე ხუთი და ასე შემდეგ. როგორც კი დაიწყებდა დუსიკო ხმაურს, ჭუჭულები მის ზურგზე გაჩნდებოდნენ და ძირს იატაკზე ხტებოდნენ.

პირველ ჭუჭულს, როგორც გზის გამკაფავს, ჩვენმა ბავშვებმა „გამომგონებელი" შეარქვეს.

ნახატები ვ. ბელეცკიასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუნების კარი

ანა ხახუბაშვილი

თოფიხალთას ამბავი

ჩვენი სკოლის ბუნებისმეტყველების კაბინეტში იდგა თოფიხალთას ფიტული,—ღორის დინგვივით წაწვეტილი ცხვირით და ჩაჟუტული თვალებით.

ტყე სკოლის ფანჯრიდან კარგად მოჩანდა. აი, ამ ტყეში ცხოვრობდა ეს თოფიხალთა, მის ბუნაგს ექვსი ხვრელი ჰქონდა. თოფიხალთას ეს ხვრელები ჰაერის გასასუფთავებლად, და უმთავრესად კი იმიტომ ჰქონდა გათხრილი, რომ მტრის თავდასხმის დროს ან ერთი ხვრელიდან გაძვრებოდა, ან მეორედან; თავისი ფართო ბუნაგი გამხმარი ფოთლებით, ხავსითა და ხმელი ბალახით ჰქონდა დაგებული. დიდმუცელა, ზარმაცი თოფიხალთა მთელი დღეები პირქვე ეგდო და ეძინა, შებინდებისას იღვიძებდა და სანადიროდ გამოდიოდა.

ტყის უხე წიაღში მისთვის ყველგან სუფრა იყო გაშლილი. მრავალ მცენარეთა ფესვები, ჭიაღუები, ჩიტის კვერცხები, კურდღლის ბაჭიები, ყველა მისი საკვები იყო. მაგრამ, თუ კურდღლის ბაჭიებს ვერ მიაგნებდა, თაგვებსა და ბაყაყებსაც კარგად შეექცეოდა. ყველაზე ძლიერ კი ახლად მოწეული სიმინდი უყვარდა. ამასთან ერთად ქურდბაცაცობაც ეხერხებოდა, და აი, სწორედ მაგ ქურდბაცაცობამ დაღუპა ჩვენი დარგვალებული თოფიხალთა.

ეს ამბავი ასე მოხდა: ერთ დღეს ამ ზანტ თოფიხალთას ზემოხვრელში თურმე მელა შეუსახლდა და სანამ მელას ხვრინვა არ მოესმა, თოფიხალთას არაფერი არ გაუგია, არხეინად ეძინა.

— გენაცვალეთ, ეს რა უსუფთაო მდგმური ჩამისახლდა, ჩემს ბუნაგს მთლად გამიბინძურებს!—წაიღრუტუნა თოფიხალთამ და გაჯავრებულმა სანადიროდ გასწია. მიდის თოფიხალთა, მოკლე ფეხებით მიბაჯბაჯებს და თვითონაც არ იცის, საით! უცებ მაღლა სერს მიაღწია და შეჩერდა; ქვემოთ, სკოლის ეზოდან სიმინდის შრიალი მოესმა. თავქვე ჩასვლა მოკლე ფეხებით ძლიერ ემძიმებოდა თოფიხალთას, თანაც მთავარის ამოსვლისა ეშინოდა და ჩქარობდა. მაშინ თოფიხალთამ თავის ნაცად ხერხს მიმართა: დაწვა და კვირტი გორგალივით *) სერიდან ძირს სწრაფად ჩაგორდა. აგერ, სკოლის ეზოც სულ ახლოს არის! მოწაფეების დათესილი და კარგად მოვლილი, ტანაყრილი სიმინდი ფოთლებს მომხიბვლელად აშრიალებს. თოფიხალთა მოუთმენლად დაფაცურდა. ბაჯბაჯით ღობეს აქეთ-იქით აუარ-ჩაუარა; შესაძრომიც იპოვნა, ჩაღუნა თავი და შეძვრა. მაგრამ, ვაი თქვენს მტერს, რაც იმას დღე დაადგა.

ღობეში შემძვრალ თოფიხალთას ორიოდე ნაბიჯიც არ გადაუდგამს, რომ უცებ ზედ თავზე მძიმედ რაღაც დაეცა და გონება დაკარგა.

— აბა, მოგდო თუ არა!—წამოიძახეს ბიჭებმა სიხარულით და ხაფანგისაკენ გაქანდნენ. სანდრომ ჭრაქი ხელად აანთო და თოფიხალთას დახედეს:

— ერთი შეხედეთ ამასა, ეს ხომ თოფიხალთა ყოფილა!—თქვა სანდრომ.

— ახლა რა ვუყოთ, ბიჭებო, ამისი არც ხორცი ვარგა და არც ტყავი!—გაიცინა ნოდარმა.

— რას ამბობ, ხედავ მისი ზურგის პრიალა ჯაგარს?! იცი, ამისაგან რა ჯაგრისებს და წვერის საპარსავ ფუნჯებს აკეთებენ? — თქვა სანდრომ და დაუმატა: მაგისი ტყავი წყალს არ ატარებს, პაპაჩემს კაჟიანი თოფის ხალთად ჰქონდა მაგისი ტყავი და უფეველია თოფიხალთაც ამიტომ ეწოდება.

მეორე დღეს ბავშვებმა ერთი კარგი რამ მოისაზრეს. თოფიხალთას ტყავი ფრთხილად გაამრეს და მარილწყარილი შეინახეს. რვა დღის შემდეგ თოფიხალთას ფიტული ბუნებისმეტყველების კაბინეტში რომ შეიტანეს, მთელი სკოლის ბავშვები ქივილხივილით შეჰყვნენ. ძალლებმა, თოფიხალთას დანახვაზე, კინაღამ იქაურობა დაანგრიეს, ისე ჰყეფდნენ.

მას შემდეგ თოფიხალთა ისევ იქა დგას და ჩაჟუტული თვალებით სულ ტყეს გაჰყურებს.

*) მჭიდროდ დახვეული ძაფის გორგალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავოკადო—„საწყალი გლეხკაცის ძროხა“



ასე გვეძახიან ჩვენ. ბევრს უცნაურად ეჩვენება ეს სახელი. მართლაც საკვირველი რამ ვართ.

აბა, რომელიმე ხილმა დაიკვეხოს ჩვენთან! ტყუილად როდი შეგვარქვეს ეს სახელი; ჩვენ უკვე დიდიხანია გვიცნობენ, ჯერ კიდევ ამერიკის აღმოჩენამდე, ადგილობრივ ღარიბ მოსახლეობას ჩვენ ვასაზრდოებდით. ჩვენ ვიყავით მათი ხორცი, რძე, კარაქი, სალათა, წნილიც კი. სწორედ ამიტომ მათ ავოკადო გვიწოდეს, რაც „საწყალი გლეხკაცის ძროხას“ ნიშნავს.

ჩვენი ნაყოფი დიდი მსხლის ოდენაა, შეხედულებითაც კი ჰგავს მას, მაგრამ მსხალი რა სახსენებელია ჩვენთან. ჩვენი ლამაზი ხეების ჭვრილ ტოტებზე გრძელი ყუნწით ჰკიდია მოყვითალო-მოსწვანო, ზოგჯერ მუქი ისფერი, ვეებერთელა ნაყოფები. ზამთარშიც რომ გვეწვიოთ, გულუხვად გაგიმასპინძლდებით.

აბა, გასჭერით, ნახეთ რა გემრიელია ჩვენი ნაყოფი! სწორედ ხორცსა ჰგავს, ვემო და ფერი კი ნამდვილი კარაქისა აქვს, რძეც კი...

რამდენჯერ მოსულან ჩვენთან ცელქი ბავშვები: ზოგს ქვა უსვრია, ზოგსაც ჯოხით ჩამოუგდია ჩვენი მწიფე ნაყოფი, მაგრამ იგი ყუნწს მოსწყდება თუ არა, მაშინვე ამოტრიალდება და მიწაზე ძირით დგება. რაშიაც მისი ერთად-ერთი ცალი მსხვილი კურკა ეხმარება.

ჰო, იმას ვამბობდი—რძეც მეთქი; ძროხის რძე ჩვენი ნაყოფისაგან დამზადებულ რძეს როგორ შეედრება! ძროხის რძე ზოგჯერ იჭრება და ფუშდება. ჩვენი რძე კი მუდამ კარგად ინახება. ამიტომაცაა, რომ ბავშვებს ჩვენი რძე უყვართ. ექიმებიც ავადმყოფებს ხშირად უნიშნავენ ჭამლად.

მერე, რომ იცოდეთ რა კრემი და ნაყინი მზადდება ჩვენგან. ვიცი, არც ჩვენს მშვენიერ სალათასა და წნილს დაიწუნებთ.

აბა, კიდევ რომელიმე ხილმა დაიკვეხოს ჩვენოდენა ვიტამინები, რის გარეშეც ადამიანს სიცოცხლე არ შეუძლია. ჩვენი ნაყოფი მდიდარია მინერალური ნივთიერებით, უფრო მეტად, ვიდრე ხორცი, კვერცხი, კაკალი და სხვა.

იცოდეთ, რომ ჩვენი ნაყოფით სისტემატური კვება ადამიანის ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარია. წამლადაც გამოვდგებით კუჭის ტკივილის დროს, ან გულით დაავადებისას.

ჩვენი ნაყოფის ზეთი სახეზე რომ წაისვათ, ჭორფლსა და ლაქებს მოგაშორებთ, ძლიერ ათეთრებს სახის კანს.

ჩვენი შერქნიდან, ფოთლიდან და კურკიდან ამზადებენ მრავალნაირ ძვირფას ეთეროვან ზეთებს.

ახლა ჩვენ ბედნიერი საბჭოთა ქვეყნის შვილები ვართ. ზურმუხტოვან საქართველოში შავი ზღვის ლამაზ ნაპირებზე—აფხაზეთსა და აჭარაში ვცხოვრობთ.

გახსოვდეთ, რომ სითბო ძლიერ გვიყვარს, 7 გრადუსამდე ყინვას ძლივსღა ვიტანთ.

შემდეგ, როდესაც წამოიზრდებით, უფრო ახლოს გაგვცნობთ და შეგვაჩვევთ თქვენი საყვარელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს.

ოთარ წულუკიძე

ჩვენს მკითხველებს

1951 წლის ჟურნალ „დილა“ № 5-ში მოთავსებული იყო გასართობი სურათებში, ასეთი საათურით: „შეადგინეთ მოთხრობა“.

ამ სურათებს მიხედვით მოთხრობები შეადგინეს და გამოგზავნეს:

ნოდარ ბურჭულაძემ (მახარაძის რაიონის სოფ. შემოქმედის საშ. სკოლა); **ცისანა ბაბუნიამ** (ქ. გეგეჭკორი); **გივი მაისურაძემ** (ქ. თელავი, ვაჟთა მე-2 საშ. სკოლა); **დავით მაისურაძემ** (ქ. თელავი, ვაჟთა მე-2 საშ. სკოლა); **ანზორ მარუაშვილმა** (მცხეთის რაიონის ბოფ. პატარა ქანდის 8 წლიანი სკოლა); **დეკო ღვინჯილიამ.** (ქ. თბილისი, ქალთა მე-10 საშ. სკოლა); **ნათელა ბოლქვაძემ** (ქ. თბილისი, ქალთა 1-ლი საშ. სკოლა).

52/165

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეფხვი და მელა

ზღაპარი

ერთმა ვეფხვმა მელია დაინახა. კბილები დააკრაჭუნა, ბრჭყალები გამოსწია და დაულრიალა:

— შეგჭამ!

— როგორ თუ შემჭამ, მე შენზე ლონიერი ვარ!

ვეფხვს გაუკვირდა:

— ასეთი პატარა, ჩემზე ძლიერი ხარ? არა, ეს შეუძლებელია.

— აბა, ვნახოთ!—უთხრა მელიამ,—გზას ერთად გავუდგეთ და დაუკვირდი, ვისი უფრო ეშინიათ, შენი თუ ჩემი? ვისაც უფრო მეტად ეშინიათ, ის უფრო ძლიერია, ძლიერი კი სხვას შეჭამს.

დაეთანხმა ვეფხვი. გზას ერთად გაუდგნენ. მელიამ წინ გაუსწრო, უკან კი ვეფხვი მისდევდა, მათ ყველა გაურბოდა.

ვეფხვი ხომ დიდია, თუმცა მელიას უკან მისდევდა, მაგრამ მას შორიდანაც ხედავდნენ!

მელია კი ეუბნებოდა ვეფხვს:

— აჰა, ხომ ნახე, რომ ჩემი ყველას ეშინია. მე წინ რომ მივდივარ, გამირბიან. შენ კი ზედაც არავინ გიყურებს.

შეეშინდა ვეფხვს.—მელიამ არ შემჭამოსო, და კუდამოძუებულმა მოკურცხლა.

მელია კი მისძახოდა:

— მართლაც ძლიერი ვყოფილვარ, შენც რომ შეგაშინე! ეჰ, ვეფხვო, ვეფხვო, ის კი დაინახე რომ ყველას ჩემი ეშინოდა, ის კი ვეღარ შენიშნე, მელიამ როგორ მოგატყუა!

ნახატი გ. ფოცხიშვილისა

ყდაზე: „ორთველი“ ნახატი ალ. გიგოლაშვილისა

პასუხისმგებელი რედაქტორი **რ ე ვ ა ზ მ ა რ გ ი ა ნ ი.** სარედაქციო კოლეგია: **გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვ. მრევლიშვილი, ი. ხიხარულიძე, ნ.ფანფეშვილი, შ. ცხადაძე.**

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 9, Сентябрь 1951г. Тбилиси, Ленина 14. Детиздат Грузии

საბჭოტგამი. რედაქციის მისამართი: თბილისი ლენინის 14. ტ. სართ.ტელ. 8-57-58

გამომც. შეკვ. № 345 სტამბის შეკვ. №(23)1800 ტირაჟი 15000 უფ 04111 ტექსტი ანყობილია ლ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. „ჟურნალი გამოქვეყნდა ოფსეტის სისტემის მანქანაზე „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში: თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42